

„ცნობიერების ამაღლება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია პრობლემის მოსაგვარებლად“

კანონი კაცრი უნდა იყოს იმით მიმართ, ვინც შინაურ ცხოველებს ქუჩაში უპატრონოდ უშვებს

ალიონი. 2006 წელს გაზეთმა „ალიონმა“ ერთ-ერთმა პირველმა გააპროტესტა ოზურგეთში ქუჩაში გაშვებული ძაღლების რკინის მასებით დაჭერის წესი და დაიწყო კამპანია ცხოველთა უფლებების დასაცავად. პირველ ეტაპზე ცხოველების უფლებების დამცველი ადამიანების მიმართ გარკვეულ აგრესიასაც კი გამოხატავენ. ეს ის პერიოდია, როცა საქართველოში „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“ შეიქმნა... ქვეყანაში დაიწყო ცხოველთა უფლებების დაცვისთვის შესაბამისი კანონმდებლობის შექმნისათვის ბრძოლა.

წლების მანძილზე საზოგადოების, არასამთავრობო სექტორის და მშპ-

ის ბრძოლაში მსახიობის შემდეგ გამოიღო და დღეს საქართველოში

ცხოველთა დაცვა კანონმდებლობით რეგულირდება. ცხოველთა დაცვის კანონი ორბანისა და ადამიანების ურთიერთობის დამყარების მიზნით. ოზურგეთში მასშტაბით შემავალი იქნა ვითარება, რომ ცხოველების მფლობელების რიცხვი მუდმივად იზრდება, რომლებიც ყოველდღიურად კვებას უზრუნველყოფენ მათ. ვფიქრობთ, რომ კანონი კაცრი უნდა იყოს იმით მიმართ, ვინც შინაურ ცხოველებს ქუჩაში გაშვებული ძაღ-

ლების ერთ-ერთი გულშემატკივარია პირველი არხის ყოფილი ოპერატორი, არაერთი დოკუმენტური ფილმის ავტორი, სოფელ ასკანაში მცხოვრები რევაზ ცეციტინიძე.

„8 ძალი მყავს ამჟამად სახლში. წლებია ქუჩაში გაშვებულ ძაღლებს ვპატრონობ. ჩემი ცხოველების დმი სიყვარული უსაზღვროა. ან როგორ არ უნდა მოუარო, როცა მათ ადამიანისადმი დიდი სიყვარული გააჩნიათ. ამ ოციოდე წლის წინ მთავსვლელთა თითქმის ყველა ჯგუფს მიაცილებდა მცინვარწვერის პლატოზე ძაღლი „ნაპრადა“, რომელმაც თავად იწვინა გერგეტის მცინვარის ყინულის ნაპრალის ვერაგობა. ამას იგი კეთილი ადამიანების მადლიერების ნიშნად აკეთებდა. ამ



ძაღლის ყურადღების ღირსი ჩვენც, ოზურგეთელი მთამსვლელებიც ვაგზდით... არ დავივლივთ, მიჭირს 8 ძაღლის რჩენა, არც არავინ მეხმარება, მაგრამ თუ არ დავრწმუნდები რომ ძაღლი ისეთი ადამიანის ხელში მოხვდება, სათანადოს რომ უპატრო-

ნებს, ისე ვერ ვაგვცემ... გვინდა ე.წ „აგრესიულ ძაღლების“ თემასაც შევევლივთ. ეს მნიშვნელოვანია და ადამიანები მეტად ინფორმირებულნი უნდა იყვნენ ამ კუთხით.

ისეთი პოპულარული ჯიშის, როგორცაა ტაქსა, ყვე-

ლაზე აგრესიულია ყველა ჯიშის ძაღლებს შორის.. არსებული სტატისტიკით ყოველი მე-5 კბენს უცხო ადამიანებს, ხოლო ყოველი მე-12 საკუთარ პატრონს; ტერიერი საშიშია პატარა





ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი ბაზოლის
1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 7 (10377) 22 მარტი 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

საკრებულოს ბიურომ წლიური ანგარიშები მოისმინა და შეაფასა



ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუროს 17 მარტის სხდომაზე წლიური ანგარიში პირველად საკრებულოს აპარატმა წარადგინა. ბიუროს წევრებმა მოიწონეს აპარატის ხელმძღვანელის, ქალბატონი ნანა თაყაიშვილის გამოსვლა და დადებითად შეაფასეს საკრებულოს მიერ შარშან გაწეული საქმიანობა.

2020 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში ამავე დღეს ჩაატარეს (ა)იპ-ებმა: „ჯანდაცვის ცენტრი“; „მთა ქუჩები“; „სკოლაში აღზრდის ცენტრი“ (მაკა ტყეშელაშვილი); „კულტურისა და მოსწავლე ასალგაზრდობის გაერთიანება“ (თამარ ნადირიძე); „ურეკის კულტურის სახლი (ქეთევან ლორთქიფანიძე); ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი (აფანადილი თვარათქალაქი); „სამსატერო სკოლა (კანა ვასაძე).

18 მარტს ბიუროს სხდომაზე წლიური ანგარიშებით წარსდგინეს: (ა)იპ „მოსახურების ცენტრი“ (თენგიზ ქუჭუბი); შპს „სტისი“

(ნოდარ თოიბე); შპს „მუნიციპალური ტრანსპორტი“ (ამბაკო გოგოტიშვილი); „სამუსიკო სკოლა“ (ლელა შარაშენიძე); ოთხჯინებისა და მოზარდ მყურებელთა პროფესიული თეატრი“ (ლამა კუჭუბაძე); „ჯ. ლენინის სახელობის ქართული სახლური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლი „გურია“ (ნათია ლენელი).

19 მარტს მოისმინეს (ა)იპ-ების: „პარკების მართვის ცენტრი“ (რომან გოგიტაშვილი); „სოფლის-ტერიტორიული დაცვების ცენტრი“ (ვიტორია სკამკოჩაიშვილი); „სამუსიკო გაერთიანების“ (გიორგი ტრაპაძე); „ცენტრალური ბიბლიოთეკის“ (ლიანა ბაქანიძე); „სპორტულ გამაჯანსაღებელი დაწესებულებათა გაერთიანების“ (ელენა შაყაძე); „არგების განვითარების კავშირი“ (ზინო დლონტი); „საფეხბურთო კლუბი „მერცხალის“ (ზურაბ ჯუღელი) ანგარიშები

მათ მერ გაწეული საქმიანობა ბიურომ დადებითად შეაფასა.

ურეკის ინფრასტრუქტურული პროექტები და რატომ გააკვირვებს დაბიდან სამუშაოებლო კომპანია „ნიუ თი ჯი“

ალიონი. ოზურგეთიდან 24 კილომეტრის დაშორებით, შავი ზღვის სანაპიროზე, მდებარეობს დაბა ურეკი, რომელიც შემოსაზღვრულია მდინარე სევისა და კუჩხას შესართავებით, ხოლო აღმოსავლეთით აკრავს წვერმაღალას მთა.

არსებული თქმულებით, ურეკი ნიშნავს ტყიან გაუვალ ადგილს, სადაც მონადირეებსაც უჭირდათ ნადირობა, რასაც სამეგრელოს მთიანეთში არსებული მიკროტოპონიმი „ნა-ეკ-ურ-ა“ ამტკიცებს.

არქეოლოგიური გამოკვლევებით, ურეკის ზღვისპირა მიდამოები, ე.წ „ნაზურგები“ ძველი დროიდან დასახლებული პუნქტი ყოფილა. სუფსის შესართავთან სხვადასხვა დროს აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთების რამდენიმე განძი, რომელიც ურეკის განძის სახელითაა ცნობილი, რომელიც ძველთაღრიცხვით XVIII-XV-II საუკუნეებით თარიღდება.

1931 წელს ურეკში 500 ჰექტარამდე ფართობზე მოეწყო ციტრუსების მეურნეობა, ხოლო 1944 წელს დაიწყო მავნეტიტის მოპოვება. აღნიშნულ მადანს გერმანელი ტყვეები ტვირთავდნენ რუსთავის მეტალურგიული კომბინატი-



სთვის. ტყეებს შორის იყო გერმანელი მეცნიერი ერინ ანდერე, რომელსაც გულსისხლძარღვთა დაავადებები და მძიმე ართრიტი აწუხებდა. მან აღმოაჩინა, რომ ურეკის მავნეტიტი მასზე დადებითად მოქმედებდა...1949 წელს მიიღეს გადაწყვეტილება საკურორტო ზოლის მოწყობის შესახებ. 1953 წელს ურეკს დაბის სტატუსი მიენიჭა... ურეკის სამკურნალო თვისებების კვლევის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ექიმს ნიკა ქარცივაძეს.

ეს ექსკურსი იმისთვის გააკეთეთ, რომ დაბა ურეკის განსაკუთრებული მნიშვნელობა აღგენიშნა, რომელიც დღეს დიდ დასახლებას წარმოადგენს სასტუმროებით, რესტორნებით, სხვა გასართობი ადგილებით და ვიწრო ქუჩებით.

ურეკის შესახებ არაერთი სტატია დაიბეჭდა გაზეთ „ალიონში“, რომლებიც მიმდინარე პროექტებს და ჯერ კიდევ მოუგვარებელ პრობლემებს ეხებოდა. ბოლო პროექტიდან მნიშვნელოვანია დაბა ურეკისა და შეკვეთილის

წყალმომარაგებისა და წყალანრიების პროექტი, რომლის განსახორციელებლად აზიის განვითარების ბანკმა 73 მილიონი ლარი გამოჰყო, სამუშაოს კომპანია „ფერი“5 წლის განმავლობაში აწარმოებდა და შარშან დაასრულა. ამ თანხიდან 10 მილიონი ლარის სამუშაოები გერმანულ-ქართულმა კომპანია „ფაიფერმა“ შეასრულა, რომელმაც გამწმენდი ნაგებობა ააშენა.

წყალი სოფელ მერიაში,



გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- განხილვა, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუთორიზაციის შემთხვევაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციის ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100
საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა

დაინყეთ ყოველი ოჩხაბათი აციონზე
«ალიონით»

შეხვედრა გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლებთან

სახელმწიფო რწმუნებულმა გურიის მხარეში გიორგი სასოკიამ, მოადგილესთან ქეთევან მოისწრაფეშვილთან ერთად, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე გურიის საინვესტიციო ფორუმის ჩატარებაზე იმსჯელეს, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლების, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების, დიპლო-

მატიური კორპუსის, ბიზნესსოციალური წარმომადგენლები და პოტენციური ინვესტორები დაესწრებიან. ფორუმზე განხილული იქნება გურიის საინვესტიციო მიზიდველობის კონკურენტული უპირატესობა, ასევე, შეთავაზებული იქნება კონკრეტული საინვესტიციო პაკეტი. ფორუმში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით გაიმართება.



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ კიდევ ერთი მაღალი გაავალოვის ახალი მესპაკატორ-ლაგტირთველი შეიძინა



JCB-is 4 CX Eco მარკის, ბრიტანული წარმოების ტექნიკის შესაძენად ადგილობრივი ბიუჯეტიდან 267 420 ლარი გაიხარჯა. აღნიშნული ტექნიკა სამშენებლო და საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოწყობის, საჭიროების შემთხვევაში, თოვლის საფარისაგან გაწმენდის სამუშაოებს შეასრულებს. აღსანიშნავია, რომ მერიამ ექსკავატორისთვის დამატებითი მო-

წყობილობა - მულჩერი (აგრეგატი) შეიძინა, რომელიც ბალახის სათიბად, ლერწისა და ტოტების დასაქუცმაცებელია, ხელს უწყობს მოსწორხაზოვნების სამუშაოების გაადვილებას და მისი შესყიდვის ღირებულებამ 23 754 ლარი შეადგინა. ექსკავატორ-დამტვირთველი სარეგებლობაში ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრს“ გადაეცემა.

ოზურგეთის „არწივება“ თელავში „ჭადარს“ სძლიეს

საქართველოს პირველობაზე რაგბიში პირველი ლიგის (ზედა ექვსეული) გათამაშების მესამე ტურში ოზურგეთის „არწივები“ თელავში ადგილობრივ „ჭადარს“ შეხვდა და 26:7 დაამარცხა. ოზურგეთელთაგან ზურაბ ჯორჯოლაძემ ლელო დაღო და სამი გარდასახვა ზუსტად შეასრულა; მირზა შანიძემ 2 ლელო დაღო, ხოლო მირზა შანიძემ -ერთი ლელო.

ამ მოგებით 4+1 (ბონუს ქულა) 5 ქულა აიღო და გათამაშების ცხრილში 9 ქულით მე-4 საფეხურზეა. სტეფანწმინდის „ყაზბეგმა“ გასვლით მატჩში ხვამლს 20:26 სძლია და 29 ქულით ლიდერის პოზიცია აღიდგინა: თბილისის „არმიამ“ „ტაო“ დიდი ანგარიშით 75:0 დაამარცხა და 26 ქულით მეორე პოზიციაზეა.

სამგლოვიარო განცხადება
ნიადაგის და სურსათის დიასფნოსტიკური ცენტრი „ანასეულის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ თამარ თავაძეს ძმის **იური თავაძის** გარდაცვალების გამო

საზოგადოებრივი ჯანდაცვის საქმიანობას გმირული უწოდეს და იგი მაღლობით შეაფასეს



ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 18 მარტის სხდომაზე, ყველაზე დიდი ინტერესით, ალბათ, ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის საქმიანობის წლიურ ანგარიშს ელოდნენ, რაც, მსოფლიოში, ქვეყანაში, რეგიონში, ჩვენს მუნიციპალიტეტში შექმნილი პანდემური სიტუაციიდან გამომდინარე, სავესთი ლოგიკური იყო. ხსენებული ა(ა)იპ-ის მიერ 2020 წელს გაწეულ საქმიანობას გმირული უწოდეს და იგი მაღლობით შეაფასეს.

კარგია, რომ გამოძვლელისთვის ქრონომეტრაჟი არავის განუსაზღვრია და ქალბატონ **მაია ქუტიძეს** შესაძლებლობა მიეცა, ჩატარებული კოვიდსაინფორმაციო მასშტაბური ღონისძიებებისა და შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების ანალიზით, დამსწერ საზოგადოებისთვის, მათ შორის ჟურნალისტებისთვის, ექვეყნებინა, სადღესოდ როგორი რეალური სურათია ამ თვალსაზრისით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში.

როგორც **მაია ქუტიძემ** აღნიშნა, საანგარიშო პერიოდში შემთხვევითაა ჯამურმა რაოდენობამ 3298 შეადგინა, საიდანაც 3181 ადამიანი უკვე გამოჯანმრთელდა. სამწუხაროდ, 30 შემთხვევა ლეტალურად დამთავრდა. ტესტირებათა საერთო რაოდენობამ (კომუნიკაციური) 25 694 შეადგინა და მალე 30 ათასს გასცდება. ტესტირების რაოდენობა ანგარიშგების დღეს იყო 327, აქტიური შემთხვევა - 87, სტაციონარია - 26, საკარანტინე სივრცე - 21, ბინაზე - 40.

ეპიდემიოლოგიური კვლევით გამოვლენილი კონტაქტირებულთა რაოდენობა ანგარიშგების დღის განმავლობაში იყო 6, თვითიზოლაციაში დატოვებულია 6 პაციენტი. ბოლო კვირის ახალი შემთხვევების წლიური დინამიკა კლებადია.

მაია ქუტიძის თქმით, არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ეს პანდემია და კლებადი სტატისტიკით დამზვიდვამ და ყურადღების თანაგმა შენელებამაც კი სიტუაცია მკვეთრად შეცვალა. ქალბატონმა **მაია ქუტიძემ**, სხვა სამომ დაავადებებზე, მათ წინააღმდეგ ჩატარებულ და ჩასატარებულ ღონისძიებებზეც ისაუბრა. ყურადღება გაამახვილა კოვიდსაინფორმაციო ვაქცინაციაზე, თქვა, რომ ეს პროცესი ადგილობრივ მედიკოსებში დაწყებულია და უპრობლემოდ მიმდინარეობს.

ბიუროს წევრებმა საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივი ჯანდაცვის საქმიანობას გმირული უწოდეს, გაწეული შრომა დადებითად შეაფასეს და მედიაციის ყველა მუშაკს მაღლობა გადაუხადეს მოსახლეობაზე მუხლჩაუხრელი ზრუნვისთვის.

„რაც თქვენ შესძელით, თქვენი ჯანმრთელობის შეღავათის ფასდაც კი, ეს გმირობაა. თავს უფლებას ვაძლევ, მოსახლეობის სახელით, მაღლობა გითხრათ გაწეული ღვაწლისთვის და მიღწეული შედეგისთვის. ვალში ვართ თქვენთან, შევეცდებით, ყველანაირად გვერდში დაგიდგეთ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ყველაზე აუცილებელ საქმეში“ - უთხრა ქუტიძეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარემ, ბატონმა **დავით დარჩიამ**.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მისამართით თავიანთი სიტყვები მაღლობით დაიწყეს და დაამთავრეს სხვა გამოძვლელმაც.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელმძღვანელ **მაია ქუტიძეს** და ეპიდემიოლოგ **ელზა სიმონიშვილს** მეორე დღეს შეეხვედით ორგანიზაციის ოფისში. შეუთანხმდით, რომ ჩვენი გაზეთის საშუალებით, სისტემატურად გაავაშუქებთ საზოგადოებრივი ჯანდაცვის აქტუალურ საკითხებს.

მეფუტკრე უგრძობისთვის ღარობრივი რეკომენდაციები შემუშავდება

მეფუტკრეობის დარგში არსებული გამოწვევები და მეფუტკრე ფერმერთა საჭიროებები განიხილეს ონლაინ შეხვედრაზე, რომელიც სოფლის განვითარების სააგენტოს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა. „ფერმერებისთვის თანამედროვე დარგობრივ ცოდნაზე მაქსიმალური წვდომის უზრუნველყოფა ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია. აქტიურად ვაგრძელებთ ფერმერთა საექსპერტიზო მომსახურებას, სადაც დარგობრივი ასოციაციების ჩართულობა უმნიშვნელოვანესია“, - განაცხადა სოფლის განვითარების სააგენტოს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა, ლაშა

შალამბერიძემ. შეხვედრაზე ფუტკრის დაავადებებთან, მათ შორის, ვარჯალოზთან, ბრძოლის და ფუტკრის ოჯახების აღდგენის საკითხებზე იმსჯელეს. შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ აღნიშნული მიმართულებებით ელექტრონული და ბეჭდური საინფორმაციო მასალები უნდა შემუშავდეს; მეფუტკრე ფერმერებისთვის რეგიონებში ტრენინგები ჩატარდეს.

შეხვედრაში მონაწილეობა მეფუტკრეთა ასოციაციის წევრებმა, სურსათის ეროვნული სააგენტოს და სამეცნიერო კვლევითი-ცენტრის წარმომადგენლებმა მიიღეს.

ურეკის ინფრასტრუქტურული პროექტები და რატომ გააკვივრებს დაბიდან სამუშაოლო კომპანია „ნიუ თი ჯი“



ოფილა წყლის მაღალი გადასახადის გამო.

– როგორ შეიძლება 16 ადგილიანმა სასტუმრომ, სადაც ღამისთევს ფასი 20 ლარია, ისევე გადაიხადოს ერთი კუბური წყლის გამოყენებისთვის 4,5 ლარი, როგორც ერთ-ერთმა ცნობილმა სასტუმრომ, სადაც ერთი ტურისტის მიღება ღირს 100-დან 200 ევრომდე ღირს – გვითხრა ერთ-ერთი პატარა სასტუმროს მესპატრონემ.

– კი, წყლით სარგებლობის მაღალი ფასებია. მაგნიტის ძველ დასახლებაში თითქმის ყველა ოჯახი არტეზიული ჭებით სარგებლობდა. ეს ჭები ახლაც არსებობს. აქ წყლის სარგებლობის მოსაგრებელი ერთ კუბურ მეტრზე 50 თეთრი იქნება... თუმცა ახალი წყალსადენის წყალი გაფილტრულია და აკამყოფილებს სტანდარტებს. – გვითხრა ოზურგეთის მერის წარმომადგენელმა დაბა ურეკში **დავით რობაქიძემ**.

მანვე გვითხრა, რომ ახალი კანალიზაციის ქსელი მოეწყო წერეთლის ქუჩაზე, ურეკის დასახლებაში, ყოფილი სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე, მეცამეტე ქუჩაზე, წვერმაღალაში, სადაც 220 ოჯახი ცხოვრობს.

დავით რობაქიძე გვესაუბრა დაბა ურეკში შეჩერებული ორი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაზე.

– ძალიან მნიშვნელოვანი გახ-

ლავთ ზღვისპირა პლაჟის პროექტის განხორციელება, რომლისთვისაც მუნიციპალური განვითარების ფონდმა 6 მილიონი ლარი გამოყო. ეს პროექტი თაყაიშვილის ქუჩის კეთილმოწყობას, 1,6 კილომეტრი სიგრძის ბულვარის განაშენიანების გარდა, ითვალისწინებს პლაჟზე თანამედროვე სტანდარტის საშაპების, საპირფარეშოების, ბუნკერების მოწყობას. ფონდის მიერ გამოცხადებულ ტენდერში შარშან კომპანია „ნიუ თი ჯი“-მ გაიმარჯვა და დაიწყო მუშაობა. „ნიუ თი ჯი“ აღმოჩნდა გამარჯვებული ურეკის საჯარო სკოლის მშენებლობის პროექტშიც. სკოლა, სადაც დაბა ურეკიდან (მაგნიტი, ზედა ურეკი, წვერმაღალა), და სოფელ შრომიდან 360 ბავშვი სწავლობს, დროებით სასტუმრო „პრაიმში“ განთავსდა... „ნიუ თი ჯი“ გათხარა სკოლის ახალი შენობის საძირკველი და მშენებლობა გაჩერდა. ამ მშენებლობებს დამკვეთი – მუნიციპალური განვითარების ფონდი აკონტროლებდა და მიიჩნია „ნიუ თი ჯი“ დროულად ვერ ახორციელებდა ამ პროექტებს, ჩამორთვა მას მშენებლობის უფლება და ახალი ტენდერები გამოაცხადა. 10-დღიან ვადაში გაიმართება ტენდერი. გამარჯვებულმა კომპანიამ 3 თვის ვადაში უნდა დაასრულოს თაყაიშვილის ქუჩის მთლიანი რეაბილიტაცია და ბულვარის მოწყო-

ბა. ასევე აიგება სკოლის ახალი შენობაც, – გვითხრა მან.

თაყაიშვილის ქუჩას გადაკვეთს გრივოლითი-ქობულეთის 14,4 კილომეტრიანი მონაკვეთი, რომლის მშენებლობას ევროპის საინვესტიციო ბანკი აფინანსებს. მშენებლობის პროექტი 4-ზოლიანი ასფალტ-ბეტონის გზის, 22 სახიდე გადასასვლელის, 4 სატრანსპორტო კვანძის, წყალგამტარი მილებისა და მიწისქვეშა გადასასვლელის მშენებლობას ითვალისწინებს.

ახალ მაგისტრალთან ახლოს მდებარეობს დანა ურეკის თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღი. ჩვენ „კოვიდ 19“ რეგულაციებიდან გამომდინარე ბაღის გამგეს **ელენე იმნაძეს** შენობის შესასვლელში ვესაუბრეთ:

– თავად ხედავთ თანამედროვე სტანდარტის შენობაა, 4 ჯგუფზე გათვალისწინებული. ბაღში 75 ბავშვი ირიცხება, მაგრამ ამჟამად 40-45 ბავშვი დადის. მათ აქ ყველა პირობა აქვთ შექმნილი. როცა რეგულაციები დასრულდება, აუცილებლად გვეტუმრეთ – გვითხრა ქალბატონმა ელენემ.

დავით რობაქიძე გურიის გუბერნატორის **გიორგი სახოკიას** და მუნიციპალიტეტის მერის **კონსტანტინე შარაშენიძის** წინა დღის შეხვედრის შესახებ გვესაუბრა.

– ისინი მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდის პროექტებს გაუწე-

ვენ კონტროლს, რომ დროულად დასრულდეს კურორტის კეთილმოწყობის სამუშაოები. დაგვეხმარებიან რომ ზაფხულში ყოველდღიური საცობები არ შექმნას სადისტრიბუციო ავტომანქანებმა... ავტომანქანები ადრე დიდიდან 9 საათამდე იმობრავებენ მაგნიტის ტერიტორიაზე. სახლეა, რომ შეიქმნება სამსახური, რომელიც კონტროლს გაუწევს დაძველებულთა მიერ პლაჟის დაბინძურებას და შესაბამისი საჯარიმო სანქციებიც ამოქმედება – გვითხრა მან.

დავით რობაქიძე ვეტერანი ფეხბურთელია. თამაშობდა ლანჩხუთის „გურიაში“, ფოთის „კოლხეთში“ და ოზურგეთის „მერცხალშიც“. ბუნებრივია, უყვარს სპორტი. მან მაღლიერებით მოიხსენია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ლევან კობიაშვილი**, გენერალური მდივანი **დავით მუჯირი**, რომლებმაც დაბის ახალგაზრდებს ფეხბურთის ბურთები და სხვა საფეხბურთო ინვენტარი გადასცა.

დაბის მოსახლეობამ მხარი დაუჭირა კურორტის ტერიტორიაზე მინი მოედნის მოწყობას, ამაზე დაიხარჯება სოფლის განვითარების პროექტით დაბა ურეკისთვის გათვალისწინებული თანხა, სადაც ფეხბურთის გარდა, კალათბურთი და ფრენბურთიც შესაძლებელია ითამაშონ.

„ცნობიერების ამაღლება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია პრობლემის მოსაგვარებლად“

კანონი მკაცრი უნდა იყოს იმათ მიმართ, ვინც შინაურ ცხოველებს ქუჩაში უპატრონოდ უშვებს



ბავშვებისთვის, რომლებიც მათთან თამაშობენ; **როტვილეური** იმით გამოირჩევა, რომ ხშირად აგრესიულია სხვა ძაღლების მიმართ და თუ გავითვალ-ისწინებთ მის ძალას, შედეგი შეიძლება საკმაოდ მძიმე იყოს. ეს ძაღლი თავგანწირვით იცავს პატრონს და მისივე შემოკრთვით, თუკი იგრძნო, რომ პატრონი განსაცდელშია; უცხო ადამიანებისთვის საშიშაა **პიტბული**, თუმცა მას აქვს განსაკუთრებული თვისება – კარგად არჩევს მეგობრებსა და მტრებს; ოჯახებისთვის ისეთი საყვარელი ძაღლი, როგორც **კოკელ-სანელია**, რომლებიც კარგად იცავენ პატრონს და არც ისეთ აგრესიულ ძაღლად ითვლება, ზოგიერთ მათგანს აქვს გენეტიკური დაავადება, რომელიც პერიოდულად უბიძგებს მათ შინაგანად მოულოდნელად განახორციელონ შეტევა პატრონსა და გარემომყოფელებზე.

ამ სიაში კიდევ რამდენიმე ძაღლია, მაგრამ ასეთ ძაღლებს უშეტესად ისეთი პატრონები ჰყავთ, რომლებიც კარგად იცნობენ მათ ხეის, კარგადაც პატრონებენ და მეგობრობენ ერთმანეთთან. ამიტომ ზემოთ ჩამოთვლილი რისკები მცირეა.

ეს მაგალითი იმისთვის მოვიყვანეთ, რომ ვთქვათ, არსებული ინფორმაციით ქუჩაში ისეთი ძაღლებიც არიან, რომლებსაც შესაძლოა გენეტიკურად აქვთ პერიოდული აგრესია, რომლის გაკონტროლება ქუჩაში ძნელია და მოხშირდა ქალაქ ოზურგეთში ადამიანებზე თავდასმის შემთხვევები.

გასულ სამშაბათს რედაქციაში ქ. ოზურგეთში მცხოვრები **ლფ** მოვიდა და თავისი გასაჭირი გვითხრა. მას

წინა დღით ქალაქის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ძაღლი დაესხა თავს და ხელზე მძიმე ჭრილობა მიაყენა.

– ძაღლების მიმართ არასდროს მქონია აგრესია, სახლშიც მყავს. არ ვიცი, რა არ მოეწონა, უცებ მიკინა ხელზე და არ მეშვებოდა. იქ მყოფი ადამიანები დაძვინდნენ და მოიერიეს. არ იფიქროთ, ამის გამო ხვალ ქუჩაში მყოფ ძაღლს ქვას ვესვრი.. ვიცი, სახელმწიფო უპასუხისმგებლო პატრონების მიერ ქუჩაში გაშვებული ძაღლების მოვლისათვის მნიშვნელოვან თანხებს გამოჰყოფს. ისინი, ვინც ტენდერში იმარჯვებენ, ბუნებრივად ცნობენ ძაღლის ჯიშებს. ეს არაა ადვილი, მაგრამ უნდა მოხდეს გენეტიკურად აგრესიისადმი მიდრეკილ ძაღლების მკურნალობის მეთოდების შემუშავება, რომ მათი აგრესია მინიმუმადე დავიდეს... აქვთ „კოვიდი“; ახლა ძაღლის ნაკბენი, შესაბამისად აცრები, არაა ადვილი ჩემი ასაკისა და ჯანმრთელობისათვის – გვითხრა მან.

იმევე დღეს, შუადღისას ძაღლმა დაკბინა ქალაქის საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე ველოსიპედით მოსივრე ახალგაზრდა მამაკაცი... სხვა მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება...

რა უნდა ვქნათ?

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაილეთში არის ძაღლების გამტარი თავშესაფარი, სადაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, ასევე გურიის რეგიონის მუნიცი-

პალიტეტებიდან ძაღლების გადაყვანა დროებით ხდება, რაც დაკავშირებულია სტერილიზაციის, აცრის და ყურზე ჩიპის დამაგრებასთან. ეს პროცესი რამდენიმე დღეს გრძელდება, ამის შემდეგ ეს ძაღლები იმ ადგილებს უბრუნდებიან, სადაც ისინი აიყვანეს. ძაღლს თავისუფლებას ვერ აუკრძალევენ. მუდმივი თავშესაფარი კი არ არსებობს.

ძაღლების მიერ ადამიანების დაკბენის შემთხვევები არის ის პრობლემა, რომლის პრევენციის გზებზე საზოგადოებასთან ერთად უნდა იფიქროს ხელისუფლების, ცხოველთა დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. გვეუბნებიან, მათთვის ან მუდმივი თავშესაფრები მოეწყოს, ან მკურნალობის კუთხით გამოიყენონ იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც მიუსაფარი ძაღლების მოვლის დიდი ხნის ტრადიცია აქვთ.

გაზეთი „ალიონი“ ამ თემაზე ცხოველთა საერთაშორისო ფონდის ყოფილ წარმომადგენელს საქართველოში, ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის თავმჯდომარე **თემურ ლაჭყაძის** ესაუბრა: – ცხოველთა აგრესიის შემთხვევები უშეტესად ადამიანების პრალია, რაც მათ მიერ ქუჩაში გაშვებულ ცხოველებთან ურთიერთობის წესების არცოდნას უკავშირდება. ამ თემაზე ცნობიერების ამაღლება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია პრობლემის მოსაგვარებლად. ძაღლები აგრესიას გამოხატავენ მაშინ, როცა არ აქვთ სათანადო კვება და მოვლა-პატრონობა. ერთ-ერთი თე-

მა ამბუებული ძაღლები. 10-15 ხვადი ერთად იკრიბება და ისინი ასეთ დროს გარკვეულად აგრესიულები არიან. საჭიროა ასეთი ძაღლების მეტი სტერილიზაცია და კასტრაცია.

ძაღლების მესპატრონეები არც თუ იშვიათად არ აკეთებენ ამას და შედეგად გამრავლებულ ძაღლებს ქუჩაში უშვებენ. ქუჩაში არსებული ძაღლების განადგურება პრობლემას ვერ მოხსნის, რადგან მათ ძაღლზე სხვადასხვა დასახლებიდან ქუჩაში გაშვებული ძაღლები ჩაანაცვლებს. კანონი უნდა არეგულირებდეს ძაღლების მესპატრონეების ვალდებულებებს. ძაღლის მესპატრონე ვალდებული უნდა იყოს, ძაღლს ჰქონდეს ჩიპი-იმიტაციის, რომელიც მათ იდენტიფიცირებას მოახდენს.

ჩვენ წინა მოწვევის პარლამენტში შევიტანეთ კანონი ცხოველთა დაცვის უფლებებზე, თუმცა პარლამენტმა იგი წარდგენილი სახით არ მიიღო. ახალი მოწვევის პარლამენტშიც გვაქვს შეტანილი საკანონმდებლო ინიციატივა, მაგრამ იგი ჯერ არ განუხილვიათ. მიგვაჩნია, რომ ძაღლის მესპატრონეები, რომლებიც ეწვეიან გამრავლებით საქმიანობას, უნდა ჰქონდეთ სათანადო ნებართვა, ხოლო ყველა დანარჩენი ვალდებული უნდა იყვნენ ძაღლებს გაუკეთონ სტერილიზაცია და კასტრაცია, – გვითხრა თემურ ლაჭყაძისა.

გაზეთი „ალიონი“ მომავალში კვლავ დაუბრუნდება ამ თემას.

რა ხდებოდა და რა ხდება საბავშვო ბაღებში ქვეყანაში კოვიდ-კანდემის დასაწყისში და შემდგომ პერიოდში



რა შეიცვალა, რა ნაბიჯები გადაიღვა მომავალი თაობის უსაფრთხო მოვლა-აღზრდისთვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, რა მოხდება მომავალში? -ეს ალბათ, ის კითხვებია, რომელიც ყოველ ჩვენგანს ყველაზე მეტად აფიქრებს.

ამიტომ, მიზანშეწონილად ვცანით, მცირეოდენი შემოკლებით, მკითხველისთვის შეგვეთავაზებინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ხელმძღვანელის, ქალბატონი მკა ჭყონიას ანგარიში ამ ორგანიზაციის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ, რომელიც დადებითად შეფასდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 18 მარტის სხდომაზე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრში სულ

44 საბავშვო ბაღია გაერთიანებული, 842 თანამშრომელი და 2404 აღსაზრდელი.

სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ბიუჯეტი თავდაპირველად შეადგენდა 4 60 0000 ლარს, კორექტირებული ბიუჯეტი - 4 300 000 ლარს, ხოლო გაწეულმა ხარჯებმა 2020 წლისთვის სულ შეადგინა 4 029 582 ლარი.

2020 წლის 20 იანვარს განახლდა სასწავლო-სააღმწერდელი პროცესი, რომელსაც, როგორც წესი, წინ უსწრებდა ყველა ბაღში დეზინფექციის ჩატარება, წყლის ლაბორატორიული ანალიზი ჩატარდა ყველა ბაღში. ბაღები მომარაგდა სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით და კვების პროდუქტებით.

ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო, 2020 წლის 2 მარტს საბავშვო ბაღებში შეწყდა სასწავლო-სააღმწერდელი პროცესი.

ცენტრმა მაშინვე შეაჩერა ბაღებში კვების პროდუქტების მიწოდება, მაგრამ ბაღებში, ნაშთის სახით, დარჩა საკმარის რაოდენობის კვების პროდუქტები, რადგანაც ბაღები ორი დღით ადრე მომარაგდა.

ეს განხილდა პრობლემა, რომელმაც ბაღების შეჩერებისთანავე იჩინა თავი, ჩვენ დაეჯავაშეთ ბაღებში პროდუქტების ნაშთი, რომელიც ოზურგეთის მერიის გადაწყვეტილებითა და შეთანხმებით, გადაეცით უფასო სასაბავშვო ბენეფიციარებისთვის იმ ნათია ლლონტს, რა თქმა უნდა, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე.

ამის შემდეგ ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების

შესრულების მიზნით, დაიწყო ბაღების მომარაგება ყველა იმ აუცილებელი საშუალებებით, რასაც ითვალისწინებდა აღნიშნული რეკომენდაციები, რომლის შესყიდვაც, რაღა თქმა უნდა, არ იყო წინასწარ გათვალისწინებული სააღმწერდელი ცენტრის მიერ.

44-ე ბაღი მომარაგდა ყველანაირი სადღეინფექციო საშუალებებით, დეზინფექციის, პირბადეებით, დისტანციური თერმომეტრებით, ანტი-სეპტიკური საშუალებებით, დისპენსერებით, ხალათებით, ქუდებით, ბახილებით, ხელთათმანებით, სტიკერებით და ა.შ.

ბაღებში გამოიყო საინფორმაციო ოთახები, მოეწყო შესასვლელი, მოწესრიგდა სველი წერტილები და ბოლომდე გადაიჭრა ცხელი წყლის მიწოდების პრობლემა.

შემდეგ ბაღებმა გაიარა შრომის ინსპექციის მონიტორინგი, რომელსაც ატარებდა შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლები, რომლებმაც დადებითად ჩათვალეს ბაღებში არსებული მდგომარეობა და უფლება დაგვრთეს ავეჯმუშავებინა ისინი.

გამომდინარე იქედან, რომ ბაღებში სასწავლო-სააღმწერდელი პროცესი არ განახლებულა, სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მიერ ყველა ბაღის ყველა აღსაზრდელისთვის შექმნილი იქნა სასურსათო კალათები, რომლებიც დაურთდა აღსაზრდელის ოჯახებს, რეკომენდაციების დაცვითა და გათვალისწინებით.

აღნიშნული პროცესი სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მიერ

განხორციელდა 5-ჯერ აპრილის, მაისის, ივნისის, ოქტომბრისა და დეკემბრის თვეებში.

დეკემბრის თვის სასურსათო კალათას დაემატა საახალწლო საჩუქრები და ჯამში 5-ე თვის მიწოდებულმა პროდუქტმა შეადგინა 278 273 ლარი.

მას შემდეგ რაც ოქტომბრის თვეში გადაწყდა, რომ განახლებულიყო ბაღები, სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მიერ, ისევ ჩატარდა ბაღებში სადღეინფექციო საშუალებები, ბაღები მომარაგდა კვების პროდუქტებით, პერსონალს ჩაუტარდა ინსტრუქცია რეკომენდაციების გაცნობის მიზნით და 15 ოქტომბერს განახლდა სასწავლო-სააღმწერდელი პროცესი 32 საბავშვო ბაღში, რადგანაც დარჩენილ ბაღებში მიმდინარეობდა სეს-ის მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე სარემონტო სამუშაოები და ის არ იყო დასრულებული.

როგორც მოგეხსენებათ, ბაღებმა მხოლოდ ორი დღე იმუშავა, ბაღებში სავარაუდო ვირუსის გამო სასწავლო პროცესი შეწყდა.

მაშინვე მივმართეთ სეს-ს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს და დაიწყო მოკვლევა, თუ რას შეიძლება გამოეწვია აღნიშნული ფაქტი.

სეს-ის მიერ ბაღებიდან აღებული იქნა კვების პროდუქტებისა და სასმელი წყლის ნიმუშები, რომელიც გადაიგზავნა ლაბორატორიულ კვლევაზე.

ასევე ლაბორატორიული კვლევა ჩატარდა ბაღში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე. აღებული იქნა სინ-

ჯები: მაგიდების ზედაპირებიდან, კედლის ჩამონარეციხიდან, მაცივრებიდან, დაფებიდან, დანებიდან და ა.შ.

ასევე ბაქტერიოლოგიური ანალიზი ჩატარდა მზარეულებსა და მზარეულის თანამშემწეებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მინდა, მოგახსენოთ რომ არც ერთი ლაბორატორიული კვლევის ნიმუში, რომელიც შეეხებოდა საკვებს, სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას და პერსონალის ჯანმრთელობას, არ იყო სტანდარტებთან შეუსაბამო.

პანდემიის გამო შეჩერებულ ბაღებში მიმდინარეობდა დისტანციური სწავლება, განსაკუთრებით სასკოლო მზაობის ასაკობრივ ჯგუფებთან. აქვე აღინიშნავ, რომ ნოემბრის თვეში ბაღის აღმზრდელებს ჩაუტარდა ტრენინგი თემაზე: „ადრეული ინკლუზიური განათლება“, რომელიც ჩატარდა მარკ-ვორჯის ტრენინგთა მიერ. ჩატარდა ვებინარები სკოლამდელი განათლების პერსონალისთვის.

სარემონტო სამუშაოები, რომელიც ითვალისწინებდა სეს-ის რეკომენდაციებს სრულად დასრულდა 29 ბაღში.

2020 წლის დეკემბრის თვეში კი ხელფასები მოემატა ბაღის ყველა თანამშრომელს 50 ლ-ის ოდენობით, ადმინისტრაციის გარდა, ასევე 50 ლარით გაიზარდა ხელფასი წლის დასაწყისში - იანვრის თვეში. სულ 2020 წელს ბაღის ყველა თანამშრომელს 100 ლარით მოემატა ხელფასი სარგო, ჯამში 518 600 ლარით გაიზარდა.

ალიონი 90 1936 წელი

შენიშვნები კიმიტოზი

ძიძითი მდინარე სუფსის გაღმა მდებარეობს. დამორებულია რაიონის 14-15 კილომეტრით;

ხშირად სუფსის ადიდების გამო შეწყდება კავშირი მახარაძესთან. აქ, ცხადია, სათანადო როლი კავშირგაბმულობამ უნდა შეასრულოს, მაგრამ უხეიროდ მუშაობს ფოსტის ადგილობრივი განყოფილება; ოთხ თვეზე მეტია რაც ტელეფონი დუმს და შეუძლებელია რაიონთან დალაპარაკება.

* * *

შესამჩნევად გაიზარდა საკოლმეურნეო მასების კულტურული მოთხოვნა, ამისათვის ძიძითში მოწყობილია სამკითხველო, ამისათვის ძიძითში მოწყობილია სამკითხველო, არის საკოლმეურნეო კლუბიც, მათი მუშაობის ხარისხის შესახებ კი ბევრს ვერაფერს ვიტყვი: აგერ ცხრა თვე სრულდება და კლუბ-სამკითხველოს კეთილმოწყობისათვის გათვალისწინებულია 2.600 მანეთიდან მიღებულია სულ რაღაცა -800 მანეთი. რაიფინგანს, მიუხედავად მრავალი მოთხოვნისა, „არ დაურჩა“ ფული ძიძითის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

* * *

უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში ძიძითელ კოლმეურნებს მხოლოდ 3-ჯერ აჩვენეს კინო სურათი. ხშირად კინო სეანსის ჩვენებას -20-დან 30-მდე მაყურ-

ბელი ესწრება.

მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ხშირად კინოსურათს არ უჩვენებენ დანიშნულ დროზე. კოლმეურნეებმა წინასწარ, ერთი დღით ადრე მაინც არ იციან, თუ როდის გაიშვება კინო. ზოგჯერ სურათი არ არის შერჩეული, დამაინტერესებელი.

* * *

აფთიაქის ლამაზი, 4 ოთახიანი შენობა ამშვენებს ძიძითის ცენტრს, სხვა შენობასთან ერთად.

ორიოდე თვის უკან ქარმა გადაადრო სახურავი შენობის ერთ მხარეს. ცუდ ტაროსში ოთახები ფუჭდება, ფუჭდება სააფთიაქო ინვენტარი და ზოგჯერ წამლებიც. განა ესოდენ რთული და მოუხერხებელია მისი შეკეთება?

ვასო მამლაძე
№74, 21 ოქტომბერი, 1936 წ.

ქუჩების სახელწოდების შეცვლა

მახარაძის ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით შეცვალა სახელწოდება შემდეგ ქუჩებს:

ყოფილი ქუჩია ახალი ქუჩა:
სახელწოდება
მახარაძის -სტალინის,
ნატანების -ლენინის,
კომკავშირის -მოლოტოვის,
ზვანის -კალინინის,
ელაივას -გოროშილოვის,
ალმასკომის -ბერიას,
სადგურის -მარქსის,
მდივნის -მგალობრიშვილის,
მოიდანახის -დიმიტროვის,

ზვანის კოლ. გვერდით მდებარეს -შაუმიანის,
თამარის -ეგელსის,
მრუდეს -მ. გორკის,
ჩასავალი ვორჯიაშვილის ქუჩაზე -კამოს,
ჯორჯიაშვილის -ბ. ძნელაძის,
ნინოშვილის გაგრძელება -რ. ლიუქსემბურგის,
მაკვანეთის - კლარა ცეტკინას,
პირველი ტექნიკუმის -პუშკინის,
მეორე ტექნიკუმის -პოსტიშკინის,
ორახელაშვილის-კომკავშირის,
რესპუბლიკის -სტახანოვის,
ყაზარმის -ს. ჯუღელის,
აკაკის -ჯუმათ-სილაურის,
ლაშქარის -წითელი არმიის.
ხსენებულ ქუჩებზე მყოფი მცხოვრები და ორგანიზაციები ვალდებული არიან თავიანთი ძველი ნომრებით გამოცხადდნ ქალაქის საბჭოში ა.წ. პირველი ნომერიდან.
№76, 30 ოქტომბერი, 1936 წ.

უბედური შემთხვევა

22 ოქტომბერს შემოქმედის მცხოვრები ლუკა მენაბდე ცოლით დატვირთულ ურემზე ისხდნენ და ხარები ადიდებულ მდინარე ბუფში შერეეს. ადიდებულმა მდინარემ ურემი გადააბრუნდა ცოლ-ქმარი გაიტაცა. ხარები გადარჩა დახრჩობას და სახლში დაბრუნდა.

მთელი დამის განმავლობაში სწარმოებდა მდინარის მიერ გატაცებული ადამიანების ძებნა. 23



ოქტომბერს იპოვეს დამხრჩვალნი სტიტუტში მოკალათებულ კონტრეკოლუციურ-ტროცკისტულ გვამის ძებნა გრძელდება.

გრ-კ-ძე
№77, 25 ოქტომბერი, 1936 წ.

შორს პარტიის რიგებიდან კონტრეკოლუციურ-ტროცკისტულ-ზინოვიევი ჯგუფის ნაძირალები

თვალმაძი სერგენკო ბარიცხულია პარტიიდან

ანასეულის ჩაის საგამოკვლეო საკავშირო ინსტიტუტის პარტორგანიზაციის წევრი თვალმაძი **დიმიტრი სერგენკო** საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის ბიუროს დადგენილებით გარიცხულია პარტიის რიგებიდან.

სერგენკო პარტიას უმაღლვად რომ მას ახლო კავშირი ჰქონდა

ინსტიტუტში მოკალათებულ კონტრეკოლუციურ-ტროცკისტულ პრუჟანსკაიასთან, რომელთანაც სერგენკო განაგრძობდა მეგობრულ კავშირს და კონტრეკოლუციურ საუბარს, მისი მოხსნისა და მოსკოვში წასვლის შემდეგაც კი.

სერგენკო 1927-28 წლებში კონტრეკოლუციურ-ტროცკისტულ-ზინოვიევი ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლის დროს იჩენდა სრულ პასივობას. არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა ყოველდღიურ პარტიულ ცხოვრებაში.

სერგენკო ყოფილი ცოლის (მენშევიკის) ჯორბენაძის საშუალებით ეწეოდა მასებში ანტიპარტიულ მოქმედებებს და იყო შეპყრობილი დამპალი ლიბერალიზმით.

№78, 3 ნოემბერი, 1936 წ.

რომანტიკოსი მოჯირითე



სილოვან ქართველიშვილი

ამ რამდენიმე წლის წინათ გურულ მოჯირითეთა სიას კიდებ ერთი ახალი სახელი შეემატა-სილოვან ქართველიშვილი. მისი ბიოგრაფიული ცნობები ეპიზოდები მისი ცხოვრებიდან მისმა შვილიშვილმა, პროფესორმა გურამ ქართველიშვილმა მიაგმო, რომელიც თავად ბმე-

სტუმრა მუზეუმში და თავისი წიგნიც მისახსოვრა.

სილოვან ქართველიშვილი დაიბადა ოზურგეთის მაზრაში სოფელ ძიმიტში. ბატონი გურამის გადმოცემით, სილოვანს ჰყავდა ორი ძმა-ესე და ივანე. ივანე ლანჩხუთში გადასულა საცხოვრებლად, ესე კი იქვე სილოვანთან ახლოს სახლობდა. მისი შთამომავალი ახლაც ცხოვრობს ძიმიტში.

სილოვანი წარმატებით ჯირითობდა გურულ მოჯირითეთებთან ერთად ევროპისა და ამერიკის ქალაქებში. ის, რომ ამერიკაში სამჯერ ყოფილა -1903-1904-1905 და გამოდიოდა ბუფალო ბილის უაილდ უესტის შოუში, წერილით დამიდასტურა, ამერიკელმა მკვლევარმა რინარდ ალექსის ჯორჯიან გოგონიამ.

სილოვანს ამერიკაში „ჩიქორთული“ ინგლისური უსწავლია, სამშობლოში კი ფულადი დანაზოგი და სხვადასხვა ნივთები ჩამოუტანია. მათ შორის ძვირად ღირებული ხალიჩა.

ძიმიტში გადახდილ ყველა ქორწილში, აუცილებლად ეს „ნოხი“ დაჰქონდათო, რომელიც ბოლოს ხმარებაში გაცვეთილა.

სილოვანი ხელგამოღებულ სტუმართმოყვარე, სიტყვის კაციდა რომანტიკული ბუნების ვაჟკაცი იყო. ამერიკიდან დაბრუნებულმა ლანჩხუთში ფართლელის დუქანი გახსნა. ჩიოს მაშინ ოქროს ფასი ჰქონდა, ვინაიდან საქართველოში მსუბუქი მრეწველობა არ არსებობდა და იგი კონტრაბანდული გზით შემოჰქონდათ.

ერთ დღეს, სილოვანის დუქანში შესულა ულამაზესი გურული გოგო. -რა ღირს, ბატონო, ჩიითი -ჰკითხა თურმე, სილოვანს გოგონამ.

- რა ღირს და ძალიან ძვირი-ერთი მეტრი ერთი კოცნა- მიუგო სილოვანმა, გოგონა ჩაუქერდა და ძმებს მოველაპარაკებო, უპასუხა.

მალე იგი ორ ძმასთან ერთად შემოვიდა. ბიჭები გურულ ჩაქურაში იყვნენ გამოწყობილი და წელსი ფი-

ტო ჰქონდათ გარჯობილი, ქამარში ჩადებულ ხანჯალთან ერთად.

-გადაუჭერი ამ ციცას 25 მეტრი ჩიითი, - უთხრა ერთმა ძმამ სილოვანს.

სილოვანმა გადაჭრა 25 მეტრი ჩიითი და საფასური მოითხოვა.

- ავერ ვარ ბატონო და აიღეთ საფასური -მზად ვარ მაკოცოთ 25 ჯერ - მიუგო გოგონამ.

სილოვანი მიუახლოვდა გოგოს და პირველად შუბლზე აკოცა. ძმებმა თვლა დაიწყეს-ერთი-დაიძახა ერთმა ძმამ...

სილოვანი იმ 25 მეტრმა ჩიითმა გააკოცა.

მალე დუქანი ჩალის ფასად გაყიდა და ძიმიტში დაბრუნდა, სადაც გლეხურ მეურნეობას მიჰყო ხელი, მაგრამ დიდ წარმატებას აქაც ვერ მიაღწია და მისი ოჯახი ღარიბი გლეხის დონეზე დარჩა.

სილოვანს ცოლად შეურთავს გურიანთელი მატრონე დობორჯვინიძე. მათ სამი ვაჟიშვილი შეს-

ძენიათ: ჟოჟი, სანდრო და ალისტრო. ჟოჟი და სანდრო ადრეულ ასაკში-12 და 8 წლისანი, ტიფით გარდაცვლილან, დარჩენილან მხოლოდ ალისტრო, რომელიც მეორე მსოფლიო ომში დაღუპულა 1942 წელს.

ალისტროს შვილიშვილი გახლავთ გურამ ქართველიშვილი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, რომელიც ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს თბილისში ოჯახთან ერთად და მშობლიურ ძიმიტშიაც ხშირად ჩამოდის -იგი წინაპართა კერას არ აციებს.


სილოვანი გარდაიცვალა 1935 წელს, დაკრძალულია ძიმიტის სასაფლაოზე.

მანანა ლომაძე

ოზურგეთის სამუზეუმი გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი.

გურიის რესპუბლიკა ნასაკირალის ბრძოლა

იხმეძეშვილი მისკალაშვილი უფლები



1905 წლის 10 ოქტომბერს ილაზარენკო ოზურგეთიდან ჩონატაურისაკენ გაემართა, რათა სოფლები: ასკანის, ბასილეთის, ერკეთისა და ჯვარცხის - უხუცესებს შეხვედროდა. მაზრის უფროსმა ამ სოფლების უხუცესებს წინასწარ შეატყობინა, რომ შეხვედრა მდინარე გუბაზოლის ერთ-ერთ ფონთან შედგებოდა. მაზრის უფროსის ბრძანება არ შესრულდა, უხუცესები მოლაპარაკებაზე არ გამოცხადდნენ. ჩონატაურში მისულმა ილაზარენკომ ზემოთ ხსენებული სოფლების უხუცესებს შეხვედრა ამჯერად ჩონატაურში დაუნიშნა. უხუცესების დასაბრებლად გაგზავნილნი მობრუნდნენ და მაზრის უფროსს მოახსენეს: არც ერთი უხუცესი შინ არ დაგვხვდა, ხოლო სოფლების კანცელარები დაკეტილი იყო. ჩონატაურის უბნის პრისტავი გ. გაგუსთან და სხვებთან გასაუბრების შემდეგ ილაზარენკო დარწმუნდა, რომ მოსახლეობაში ძლიერი საბრძოლო სულიცხეთება სუფევდა. ჩონატაურის უბნის სოფლებში საბრძოლო განწყობილება წინათაც ძლიერი იყო, სწორედ აქ მოკლეს უბნის პრისტავი კოსტავა. 1905 წლის 21 აგვისტოს ჩონატაურში გამართულ ყრილობას 7.000 კაცი დაესწრო, რომელთაგან 300 მამანებია და ბერდანის ტიპის თოფებით იყო შეიარაღებული. ოზურგეთის მაზრის უფროსმა ილაზარენკომ სათანადოდ შეაფასა ზემო გურიაში(ჩონატაურის უბანში) შექმნილი ვითარება და 1905 წლის

12 ოქტომბერს ჩონატაურიდან ოზურგეთისაკენ გაემართა. ოზურგეთში ჩასულ მაზრის უფროსს აცნობეს, რომ რკინიგზის სადგურებს სუფსასა და ჯუმათს შორის შეიარაღებული რაზმები თავს დაესხნენ და გაძარცვეს სამხედრო ეშელონი. თავდამსხმელებმა გაიტაცეს 128 რევოლვერი. მეორე დღესვე ილაზარენკო შემთხვევის ადგილის დასათვალისწინებლად გაემგზავრა და სადგურ სუფსაში შეჩერდა. სუფსაში მას აცნობეს, რომ სამხედრო ეშელონს თავს დაესხა ჩოჩხათის სასოფლო თემში შემავალი სოფელ ხაჯაღიას მოსახლეობა(სოფელ ხაჯაღიაში სულ 82 კომლი ცხოვრობდა). ილაზარენკომ გადაწყვიტა, რომ მასობრივი ჩხრეკები ჩატარებინა არა მარტო ჩოჩხათის სასოფლო თემში, არამედ მიქელ-გაბრიელშიც. იმავე დღეს ლაზარენკო ქუთაისისაკენ გაემართა და გუბერნატორ ვლადიმირ სტაროსელსკის ჩხრეკის ჩასატარებლად განსაკუთრებული სამხედრო რაზმის გამოყოფა სთხოვა. ამასთან ერთად, ილაზარენკომ გაუბრუნებლად აცნობა, რომ ჩონატაურის უბნის სასოფლო თემებში ძლიერი საბრძოლო განწყობა შეინიშნებოდა, რის გამოც აუცილებელი იყო ამ უბნებში შემავალ სასოფლო თემებში ჯარის სერიოზული კონტინგენტის ჩაყენება. სტაროსელსკიმ ოზურგეთის მაზრის უფროსს განუმარტა, რომ ქალაქ ქუთაისში მხოლოდ 3.000 ოფიცერი და ჯარისკაცი იყო დარჩენილი, და

ამავე დროს ურჩია, რომ ჯარის გაგზავნის თაობაზე ქუთაისის გარნიზონის უფროსს მოლაპარაკებოდა.

1905 წლის 15 ოქტომბერს ამიერკავკასიის რკინიგზაზე საყოველთაო გაფიცვა დაიწყო. რკინიგზაზე მატარებლების მოძრაობის შეწყვეტასთან ერთად შეწყდა სატელეგრაფო კავშირიც. 16 ოქტომბერს ოზურგეთში მყოფმა ილაზარენკომ შეიტყო, რომ შეიარაღებულ გლეხთა რაზმები თავს დაესხნენ ჩონატაურის უბნის მმართველობას. ლაზარენკომ ჩონატაურში სასწრაფოდ გაგზავნა მაზრის ერთ-ერთი მოხელე გირკელიძე და იმავდროულად მომხდარი ქუთაისის გუბერნატორს აცნობა. ილაზარენკომ ჩონატაურის უბნის პრისტავს უბრძანა, რომ ტელეგრაფის უმოქმედობის გამო შემდეგნაირად ემოქმედა: ცნობები ქუთაისის გუბერნიის ქუთაისის მაზრის სამტრედიის უბნის პრისტავისათვის უნდა შეეტყობინებინა, რომელიც თავის მხრივ ინფორმაციას ქუთაისის გუბერნატორს მიაწვდიდა. ჩონატაურის უბნის პრისტავმა გ.გაგუამ გირკელიძეს ლაზარენკოს სახელზე დაწერილი პატაკი გადასცა, რომელშიც უბნის მმართველობაზე შეიარაღებული რაზმების თავდასხმა იყო აღწერილი. გ. გაგუამ ასევე აცნობა ილაზარენკოს, რომ ჩონატაურიდან სამტრედიამი კურიების გაგზავნა ვერ ხერხდებოდა, რადგან ყველა ბილიკს აჯანყებულები აკონტროლებდნენ. გირკელიძე ჩონატაურიდან კი გამოემგზავრა, მაგრამ ოზურგეთს ვერ მიაღწია, რადგან აჯანყებულებმა დააკავეს.

1905 წლის 17 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, უფროს ურიადნიკ იგნატოვის მეშვეობით უკვე დანადვილებით შეიტყვეს, რომ ჩონატაურის უბნის მმართველობასა და საფოსტო განყოფილებაზე თავდასხმა ნამდვილად მოხდა. თავდასხმისას მოკლეს 1 და დაჭრეს 2 სტრაჟნიკი, ხოლო ცოცხლად დარჩენილი სტრაჟნიკები ტყვედ აიყვანეს. ნაცემი პრისტავი გ. გაგუა პატიმრობაში იმყოფებოდა. ოზურგეთის მაზრის უფროსმა პლასტუნთა ბატალიონის

მეთაურს, პოლკოვნიკ ურაზოვს, 1 ასეულის გამოყოფა სთხოვა, რათა ჩონატაურში დატყვევებული პრისტავი და სტრაჟნიკები გაეთავისუფლებინა. 18 ოქტომბერს, ღამის 2 საათზე, ილაზარენკო ოზურგეთიდან ჩონატაურისაკენ დაიძრა. მაზრის უფროსს თან ახლდა: პლასტუნთა 1 ასეული პოდესაულ პაპენჩენკოს და ხორუჟე მოსკალენკოს მეთაურობით, სულ 102 ოფიცერი და ჯარისკაცი, ასევე, 13 სტრაჟნიკი და ოზურგეთის მაზრის მმართველობის მთარგმნელი ანათაძე. ილაზარენკომ შეძლო შეუმჩნეველად გაეგლო გზა ოზურგეთიდან ჩონატაურისაკენ, მაგრამ დილის 8 საათზე ჩონატაურიდან 3 ვერსის მოშორებით სოფელ გორას(გორაბერეკოულის) მცხოვრებლებმა შენიშნეს და ჯარის მოახლოება საყვირით ამცნეს ჩონატაურში. როგორც კი საყვირის ხმა გაისმა, მახლობელი სოფლების ეკლესიების სამრეკლოებიდან ზარების რეკა დაიწყეს. ჩონატაურში შესულ ილაზარენკოს დაბა მთლიანად დაცლილი დახვდა, ადგილზე მან მხოლოდ ერთ-ერთი სოფლის მამასახლისი და მწერალი იპოვა. მამასახლისმა არ იცოდა პრისტავი გაგუას ადგილსამყოფელი. უბნის მმართველობის შენობა მაზრის უფროსს მთლიანად გავერანებული დახვდა, შენობის კედლებს ნატყვიარები აჩნდა, ფანჯრები ჩამსხვრეული, კარი კი ღია იყო. კიდევ უფრო უარესი სურათი შენობაში შესვლებმა იხილეს: უბნის მმართველობის 6 ოთახი ასევე აკლებული იყო. ცოტა ხნის შემდეგ იპოვეს უბნის მმართველობის ახლოს მცხოვრები ვინმე იაგორ ჩიგოვიძე, რომელმაც ლაზარენკოს უამბო: ჯარის მისვლამდე 1 საათით ადრე 2 კაცი, რომლებიც სტრაჟნიკის ფორმაში იყვნენ გადაცმულნი, გაგუსთან გამოცხადდა, მათ აცნობეს, რომ ოზურგეთის მაზრის უფროსი ჯარით მოდის ჩონატაურში და გიბრძანა, გზაზე შემხვედესო. პრისტავი სტრაჟნიკებს გაჰყვა, მაგრამ არავინ იცის, ამჟამად სად იმყოფებაო. ლაზარენკო დარწმუნდა, რომ ჩონატაურის უბნის პრისტავი გაგუა

დასაწყისი იხ. „ალიონი“, №34-35, 1-6

კვლავ ტყვედ ჰყავდათ აჯანყებულებს. ჩონატაურის უბნის მომრიგებელი სასამართლოს თავმჯდომარე პეკარსკის მიერ მიწოდებული ცნობებიდან ლაზარენკომ დაადგინა: 16 ოქტომბერს, ადრე დილით, შეიარაღებულმა გლეხებმა (დაახლოებით 100 კაცი) ალყა შემოარტყეს ჩონატაურის უბნის მმართველობას და მაშინვე ცეცხლი გაუხსნეს შენობას. რამდენიმე წუთით ადრე შეიარაღებულმა გლეხებმა ალყაში მოაქციეს და ცეცხლი გაუხსნეს უბნის საფოსტო განყოფილებაზე. მოგვიანებით პეკარსკისათვის პრისტავი გაგუას უთქვამს, რომ თავდასხმის მომენტში უბნის მმართველობის შენობაში მის გარდა იმყოფებოდნენ: წერილების დამტარებელი ასათიანი, ფოსტის დამტარებელი იაგორ ჩიგოვიძე, სტრაჟნიკები: ფიდაროვი, დანშიანი, დოტურზივი და ქარცივაძე. სტრაჟნიკებმა სროლას სროლითვე უპასუხეს. ამ დროს 2 მათგანი მძიმედ დაიჭრა, მესამე სტრაჟნიკმა წინააღმდეგობის გაწევა უაზროდ რომ მიიჩნია, ბერდანკები ჭერში დამალა და თვითონ გაქცევა სცადა, მაგრამ მაშინვე შეიპყრეს. აჯანყებულებმა თან წაიღეს ბერდანის ტიპის 10 და 12 სანადირო თოფი. უბნის მმართველობის შენობის დარბევის შემდეგ გლეხები დაშლილან. უბნის საფოსტო განყოფილებაზე თავდასხმისას აჯანყებულებმა მოუკლავთ სტრაჟნიკი საუტევი და წაუღიათ მისი შამხანა, ხოლო საფოსტო განყოფილების უფროს კეკელიძისათვის რევოლვერი წაურთმევიათ. ილაზარენკომ დაჭრილი სტრაჟნიკები ფიდაროვი და დანშიანი მონიხსულა, რომელთაც მას აცნობეს: მაზრის მმართველობაზე თავდასხმა რომ დაიწყო, უკვე თენდებოდა, თავდამსხმელთა შორის ჩონატაურელი მოვაჭრეები ამოვიცანიითო. მოვაჭრეებს ორივე სტრაჟნიკი გარეგნულად კარგად იცნობდა, თუმცა გვარები არ იცოდნენ.

(გაგრძელება იხმეძე)
პასტანოვ გურული
სამართლებლო ახალი
ისტორია, ტ.3. 88.347-349

სტევიკია (Stevia Rebaudiana Bertoni)



საქართველოში სტევიკია ინტროდუცირებულია გასული საუკუნის 80-იან წლებში უკრაინიდან, როგორც მრავალწლიანი ბალახი, ზამთარში ხმობადი და გაზაფხულზე განახლებადი სახით. აღნიშნულ კულტურაზე სერიოზული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა განხორციელდა ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ცენტრსა და მის ფილიალებში (ჩაქვი, ფოთი) დადგინდა, რომ საქართველოს შავი ზღვისპირა სუბტროპიკულ ზონაში, ზამთრის პირობების მიხედვით, მცენარის 70%-მდე კვლავ აღმოცენდება, ხოლო დახურული გრუნტის (სათბურები) პირობებში მათი მიწისქვეშა ნაწილების გადაზამთრება და განახლება გარანტირებულია. სწორედ ამ ხერხს მიმართავენ იმ პერიოდში ლანჩხუთის, სუფსის, ურეკის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, როდესაც პრიმიტიული სათბურების გამოყენებით ყოველწლიურად სტევიკის მშრალი მასის კარგ მოსავალს იღებენ.

სტევიკა ვეგარდინად დამამტკვრიანებელი მცენარეა, ყვავილობს სექტემბერში, ბუჩქისებური ფორმის, ფოთლები წაგრძელებული ელიფსური ფორმისაა, ზრდასრული ფოთლის სიგრძე 4-6 სანტიმეტრია, სიგანე - 1,5-2 სმ. გაშენებისთვის ნაკვეთი კარგად უნდა მოზადდეს, დამუშავდეს, მოიხნას, დაიფარცხოს. აუცილებელია ნაკვეთის წინასწარი ქიმიური გამოკვლევა. სტევიკას დარგვა საქართველოს პირობებში ხდება აპრილის თვეში, ერთ ჰა-ზე ირგვება 50-70 ათასი ნერგი (1,0X0,2 ან 0,7X-0,3). პლანტაციის საექსპლოატაციო ვადა 1-2 წელია, წლის განმავლობაში ნელი მასის 2-3-ჯერადი აღებით. სავეგეტაციო პერიოდში აუცილებელია პერიოდულად მცენარეთა გამოკვება და მორწყვა. სტევიკის ფოთლის აღების ოპტიმალური პერიოდის განსაზღვრა მნიშვნელოვანია, რათა მიღებული მოსავალი და მასში ტკბილი დიტერპენული გლუკოზიდების შემცველობა იყოს მაქსიმალური. სტევიკის ფოთლისაგან შესაძლებელია მივიღოთ 60-79% ექსტრაქტი. ერთი კგ. მშრალი დიტერპენული გლიკოზიდების ჯამური პრეპარატების მიღება შესაძლებელია 12-14 კგ მშრალი ფოთლისაგან.

სტევიკის წარმოებაში ათვისებასა და საწარმოო პლანტაციების ზრდის მიზნით, კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევით ინსტიტუტში.

საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ სახელმწიფოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით ორჯერ გრანტიც კი იქნა გაცემული (ვ. ცანავა, ნ. ორაგველიძე, ი. მაშუაიანი და სხვები) კვლევითი სამუშაოები წარიმართა მცენარეთა გამრავლების, სასუქების გამოყენების, მოსავლიანობის გაზრდისა და სხვა აგროტექნიკური ღონისძიებების დასამუშავებლად. ძირითადი მიზანი იყო კოლხეთის ზონაში საწარმოო პლანტაციების გასაშენებლად ინტენსიური აგროტექნოლოგიის შემუშავება და სტევიკის სამრეწველო დანიშნულებით ფართო წარმოება. ინსტიტუტის ლაბორატორიაში მეტად საინტერესო ექსპერიმენტები ჩატარდა, როდესაც სტევიკას მოაშორეს სპეციფიკური გემო და მიიღეს აბსოლუტურად ტკბილი, უვნებელი „შაქარი“, მაშინ, როდესაც უცხოეთში ამისთვის მაღალ ტექნოლოგიებს იყენებენ. დადგინდა, რომ სტევიკა განსაკუთრებულ რეაგირებას ახდენს აზოტთან სასუქების გაზრდილი კონცენტრაციების მიმართ, მცირდება როგორც, მიწის ზედა ნაწილის, ისე ფესვთა სისტემის ბიომასა, ამიტომ მისი ნორმალური ზრდა-განვითარებისთვის აუცილებელია პირობა საკვები ელემენტების ოპტიმალური შეფარდება. ეს მიღწევა აზოტის ერთმავალი, ფოსფორის ორმავალი და კალციუმის ერთმავალი დოზის გამოყენებისას (80; 150; 70 კა. სუფთა ელემენტის სახით).

საქართველოში ინტროდუცირებული სტევიკის ფოთლის ბიოტექნოლოგიური კვლევის შედეგები (ა. კალანდია, ზ. ძნელაძე, მ. პაპაშვილი, ნ. ორაგველიძე) იმის საშუალებას იძლევა, ეს ახალი, ჩვენი ქვეყნისათვის არატრადიციული ნელიეული გამოყენებული იქნას მაღალი კვებითი და ორგანოლექტიკური თვისებების მქონე საკვები პროდუქტებისა და ნახევარფაბრიკატების დასამზადებლად. ჩატარებული კვლევების შედეგად შემუშავებულია სტევიკის ექსტრაქტებისა და კონცენტრატების გამომუშავების ტექნიკური რეგლამენტები, რაზედაც გაცემულია საავტორო მოწმობები. აღნიშნულის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ზ. ზნელაძე, ე. გობრონიძე, ნ. ძნელაძე.) ჩაისა და ორფოთლოა სტევიკის ბაზაზე წარმოებული ახალი სახის ჩაის პროდუქტები, სახელდობრ, შავი ჩაის გამდიდრება ჩაისა და სტევიკის ერთდროული გადამუშავებისა და მექანი-

კური შერევის მეთოდის გზით. აქვე მკვლევარების აზრით ჩაის გასამდიდრებლად შესაძლებელია გამოყენებული იქნას, როგორც სტევიკის ნელი ფოთლოა ასევე გამშრალი მასა და წყლიანი ექსტრაქტი. მოზადებული იქნა დაბალკალორიული სასმელები სტევიკით, ჩირები, კომპოტები და სხვა პროდუქტები.

სამწუხაროდ 21 საუკუნის მიჯნაზე ქვეყანაში განვითარებული არასტაბილური მოვლენების ფონზე, მეცნიერების მიერ შემუშავებული ესოდენ მნიშვნელოვანი რეკომენდაციები სტევიკის ფართო სამრეწველო განვითარების თაობაზე თაროზე იქნა შემოდებული და არავითარი ქმედება სახელმწიფოს მხრიდან არ იქნა ინიცირებული.

მიუხედავად ამისა, სუბტროპიკული ზონის ფერმერულ და გლეხურ მეურნეობებში დღესაც შემორჩენილია ამ კულტურისადმი ინტერესი. ამ მიზნით სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ანასულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახურში კვლავ განახლდა ამ კულტურაზე მუშაობა.

მოძიებული იქნა სტევიკის სარგავი მასალა ფორმა 3 (ლანჩხუთის სანერგე მეურნეობა) და დარგული იქნა ლაბორატორიის სათბურში წითელმიწა ნიადაგისა და მდინარის შლამის (2:1) ნარევის ფონზე. სავეგეტაციო პერიოდში ოპტიმალური კვებისა და ტენიანობის ფონზე მცენარის ზრდა ინტენსიურად წარიმართა და მწვანე მასის სამჯერადი აღება განხორციელდა.

იმის გამო, რომ სტევიკა უმეტეს შემთხვევაში არ იძლევა აღმოცენების უნარის მქონე თესვს, მას ამრავლებენ ბუჩქების დაყოფით, გადაწვევით და ნაზი ყლორტების დაფესვიანებით. დადგინდა, რომ ბუჩქიდან დასაფესვიანებელი კალმების აღების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სიცოცხლისუნარიანი მსხვილი ყლორტების შერჩევას. ჩვენს პირობებში სტევიკის კალმების დასაფესვიანებლად სუბსტრატად გამოყენებული იქნა აგრო პერლიტი, რომელშიც დაკალმებული იქნა 2-3- ფოთლიანი 7-10 სმ. სიგრძის სტანდარტული კალმები. სათბურში ოპტიმალური სითბოს, ტენისა და ტემპერატურის ფონზე კალმების მაქსიმალური (80-90%) დაფესვიანება 40-60 დღის განმავლობაში განხორციელდა.

სტევიკის ნერგების მისაღებად ასევე შესაძლებელია წარმატებით გამოყენებული იქნას პლასტმასის ყუთები სადრენაჟო ხვრელებით. მასში იყრება სუბსტრატები, მდინარის შლამი დამატებული წითელმიწა ნიადაგის ნარევი (1:1) 8-10 სმ. სისქეზე, ირწყვება და ირგვება სტევიკის კალმები 5X6 სმ. დაშორებით - 2,5-3 სმ. სიღრმეზე. ყუთი ზემოდან იფარება სინათლე გამტარი პოლიეთილენის აფსკით. მაღლივი სათბურის პირობებში ყუთები შესაძლებელია განვალაგოთ სტელაჟებზე.

კვლევებით დადგინდა, რომ სტე-

ვია შესანიშნავად შეეგუა აჭარის, გურიის და კოლხეთის ნიადაგურ პირობებს. ამ ზონებში მისი მოყვანა შესაძლებელია, როგორც მრავალწლიანი მცენარისა. წინასწარი მონაცემებით (რ. ჯაბნიძე) სტევიკის ერთ ჰექტარზე გაშენებული პლანტაციიდან შესაძლებელია მიღებულ იქნას 8-10 ტონა ნელი მასა, რომელიც 60-70 ტონა შაქრის ექვივალენტურია, ანუ ერთი კილოგრამი სტევიკის ნელი მასა ორგანოლექტიკურად ექვივალენტურია 6-7 კგ შაქრის. სტევიკის ფოთლოაში ტენის შემცველობა 60-70%-ის ფარგლებში მერყეობს. ფოთლის გამოშრობის შემდეგ რჩება 38-40% მშრალი მასა, თუმცა მშრალი მასის გამოსავლიანობა დიდადა დამოკიდებული მცენარის კვების რეჟიმზე, კლიმატურ პირობებზე, მოსავლის აღების ვადებზე და ხერხებზე.

სტევიკას მშრალი ფოთლის პროდუქტებზე დიდი მოთხოვნილებაა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში და საკმაოდ ძვირადაც ფასობს. ას გრამიანი შეფუთვის ფასი 20 ზ-ია. აღნიშნული პროდუქტი იმპორტირებული სახით ჩვენი ქვეყნის ბევრი სუპერმარკეტის თაროზეც აწვევია. სასურველი იქნებოდა ჩვენი სავაჭრო ქსელი ადგილობრივი წარმოების პროდუქტითაც ყოფილიყო წარმოდგენილი, რაც კიდევ უფრო გააძლიერებდა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას.

უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს სუბტროპიკული ზონის გლეხური დაფერმერული მეურნეობები სხვა პრიორიტეტული კულტურების (ჩაი, ციტრუსი, თხილი, აქტინიდა, ლურჯი მოცვი, დაფნა და სხვა) მოვლა-მოყვანითა და რეალიზაციით არიან დაკავებული, თუმცა ამ კულტურებთან ერთად სტევიკის საწარმოო კომპლექსში ჩართვა ურიგო არ იქნებოდა, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ამკულტურის მოყვანა შესაძლებელი, როგორც საკარმიდამო ნაკვეთებზე ისე სათბურებში, ორანჟერიებში და ოთახის პირობებშიც კი. განსაკუთრ-

ებით მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომლებიც შაქრის დიაბეტით არიან დაავადებულნი, სტევიკის წარმოება დიდ ხარჯებთან არაა დაკავშირებული, სამაგიეროდ მათ ექნებათ სამკურნალო დანიშნულების მქონე ბუნებრივი, ყოველდღიური მოხმარებისათვის საჭირო პროდუქტი.

სტევიკის დადებითი სამკურნალო პროფილაქტიკური თვისებები:

საპონინების შემცველობის წყალობით სტევიკას აქვს ჰიპოჰიპოთიური მოქმედება. აძლიერებს, როგორც კუჭის, ისე ყველა სხვა ჯირკვლის სეკრეციას. აქვს მსუბუქი შარდმდენი მოქმედება, აუმჯობესებს კანის დაავადების მდგომარეობას და აქვს ეფექტი რევმატიზმის დროს, კარგა შემუშავებისას. ახასიათებს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება. ამცირებს სისხლში შაქრისა და ცუდი ქოლესტერინის დონეს, წინააღმდეგობას უწევს კიბოს უჯრედების განვითარებას, ხელს უწყობს არტერიული წნევის ნორმალიზებას, ებრძვის ჭარბ წონიანობას, შაქრიან დიაბეტს, პანკრეატიტს, ათეროსკლეროზს, ამაღლებს იმუნურ სისტემას, ამცირებს მიდრეკილებას ალკოჰოლისა და თამბაქოს მიმართ.

სტევიკასთან დაკავშირებით არსებობდა მოსაზრებები, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა ადამიანის ორგანიზმზე უარყოფითად იმოქმედოს (პორმონალური). თუმცა სტევიკის ნეგატიური მოქმედება მეცნიერულად არ დადასტურდა.

ვირუსული პანდემიის ფონზე ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი სტევიკის ესოდენ მრავალმხრივი დადებითი ეფექტები კიდევ უფრო გააძლიერებს, როგორც მისი მომხმარებლების, ისე მწარმოებლების ინტერესს, რაც მოგვცემს სრულ გარანტიას, რომ უახლოეს პერსპექტივაში სუბტროპიკული ზონის ბიზნეს სექტორი ამ კულტურის ფართო სამრეწველო წარმოებით იქნება დაინტერესებული.

**ზ. გაბრიძიძე,
რ. ტაპიძე,
გ. გუნთაძე,**

გილოცვა

დაბადებიდან 83 წელი

შეუსრულდა ქალბატონ

ბიკია ივანეს ასულ

ჭანიშვილს

ვულოცავთ იუბილეს და

გაზაფხულის ლამაზ

დღესასწაულებს!

ჯანმრთელობასა და

ხანგრძლივ სიცოცხლეს

გუსურვებთ ამ სიკეთით აღსავსე, უნიჭიერეს,

მაღალი ერუდიციის მქონე პიროვნებას, სოფლის

მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს, ამ დარგის

გამორჩენილ და დეაწლომოსილ სპეციალისტს!!!

ღეღამიშვილი თაზიანთი ოჯახში,

მეგობრები და უახლოესი ადამიანები.

7 დღის ამინდის პროგნოზი

	წვიმა +10+18		გზი, ღრუბელი +7+19		წვიმა +3+12		წვიმა +3+9		წვიმა +3+9		წვიმა +4+9		ღრუბელი +3+11
22 მარტი	ორშაბათი	23 მარტი	სამშაბათი	24 მარტი	ოთხშაბათი	25 მარტი	ხუთშაბათი	26 მარტი	პარასკევი	27 მარტი	შაბათი	28 მარტი	კვირა